ხელშეკრულება №99

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(საქონლის შესყიდვა)

ქ.გორი 27 აპრილი 2023 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, წარმომადგენელი მისი **დირექტორის თამარ თოხაძის** (შემდგომში - „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,გარანტი მდ“ მისი დირექტორის მამუკი ტლაშაძის ს/კ 417879424** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 3 მუხლის 1 ნაწილის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა მე-8 მუხლის შესაბამისად, (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **CPV 44510000 - ხელსაწყოები; CPV 31224100 - შტეფსელები და ჩანგლები; CPV 44531600 - ქანჩები; CPV 44163100 - მილები; CPV 24951120 - სილიკონის საპოხი; CPV 42924310 - პულველიზატორები; CPV 44512920 - სახრახნისის პირები; CPV 44512100 - საჭრისები; CPV 31711140 - ელექტროდები** საქონლის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **424.50 (ოთხას ოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარი.**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5. ანგარიშსწორება განხორციელდება თეატრის საკუთარი სახსრებით.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემდეგ მისამართზე: **ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი #6ა,** ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი

პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 27 აპრილიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „გარანტი მდ“
მის: ქ. გორი, ცხინვალის გზ. 6ა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი“
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE32BG0000000326083000
ს/კ 417879424
ტელ: 595 58 28 78

მამუკი ტლაშაძე

Mamuki Tlashadze
Digitally signed by Mamuki Tlashadze
Date: 2023.04.27 15:46:12 +04'00'

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფესიული სახ. დრამატული თეატრი.
მისამართი: გორი ჭავჭავაძის ქ №24
ტელეფონი: 27-33-06
ს/კ: 217881424
სახელმწიფო ხაზინა

თეატრის დირექტორი
თამარ თოხაძე

Tamar Tokhadze 59001084835
Digitally signed by Tamar Tokhadze
Date: 2023.04.27 15:32:33

ხელშეკრულება N99, 27 აპრილი 2023 წ.

ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ს/კ 217881424

"მიმწოდებელი" შპს გარანტი მდ (417879424)

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ მე-8 მუხლის - "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"-ს შესაბამისად, ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი **თამარ თოხაძე** ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ზემოთ აღნიშნულ მიმწოდებელთან მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი თამარ თოხაძე

ხელშეკრულება N99, 27 აპრილი 2023 წ.

დანართი 1

ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ს/კ 217881424

"მიმწოდებელი" შპს გარანტი მდ (417879424)

CPV კოდებზე გაწერილი დანახარჯი

N		**დასახელება**	**ზ/ე**	**რ-ბა**	**ე-ბა**	**ჯამი**
1	**44510000**	ხელსაწყოები წებოს იარაღი 78 W 11.2 მმ	ც	1	28	28
2	**24951120**	სილიკონის საპოხი სილიკონის წებო ჩხირი	ც	10	0.5	5
3	**44512920**	სახრახნისის პირები SDS-Plus 5X hammer bit 5.5x100x160mm ბურღი	ც	2	8	16
4	**44512920**	სახრახნისის პირები 5.5-210sds drill bits ბურღი	ც	3	5.5	16.5
5	**44510000**	ხელსაწყოებიOTCM016 სამუშაო ინსტრუმენ. ჩანთა დაყალიბებული პლასმასით	ც	1	30	30
6	**44510000**	ხელსაწყოები სახაზავი გონიო 400*600	ც	1	10	10
7	**44510000**	ხელსაწყოები ქანჩის გასაღები მეტალის 8mm	ც	1	12	12
8	**44163100**	მილები ჰაერის კომპრესორის მილი (PVC) 6 *8 *10	ც	1	30	30
9	**42924310**	პულველიზატორები პულივიზატორი 1.7	ც	1	75	75
10	**44163100**	მილები ლითონის ფიტინგი	ც	1	18	18
11	**44163100**	მილები ლითონის ფიტინგი (შტუცერი)	ც	1	5	5
12	**44510000**	ხელსაწყოები საზომი რულეტკა 5მX19მმ	ც	1	15	15
13	**44510000**	ხელსაწყოები საზომი რულეტკა 5მX25მმ	ც	1	20	20
14	**44512100**	საჭრისები 355X2.8X25.4 საჭრელი დისკი.	ც	3	20	60
15	**31711140**	ელექტროდები შედუღების ელექტროდი 2.5*350	ც	2	20	40
16	**44512920**	სახრახნისის პირები ბურღის პირი მეტალის 4	ც	2	3.5	7
17	**44510000**	ხელსაწყოები ინსტრუმენტი გერმეტიკისათვის	ც	1	25	25
18	**31224100**	შტეფსელები და ჩანგლები ელ.ვილკა	ც	3	4	12
						424.50

თეატრის დირექტორი თამარ თოხაძე